ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2016 წლის 29 მაისი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დოდო გაბუნია
2. ირაკლი ნადარაია
3. მზია ლემონჯარია
4. აბელ ქირია
5. კახა მიქაბერიძე
6. ავთანდილ ხუნჯუა
7. კონსტანტინე ნასარაია
8. რამინ ხილაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ირაკლი ბერაია** - ხობის მაჟორიტარი პარლამენტის წევრი
2. **ედიშერ ჯობავა** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
3. **ტარიელ ალექსანდრია** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თვმჯდომარე
4. **დავით ბერაია** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
5. **ვლადიმერ ქანთარია** - ხობის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
6. **ელისო კვიკვინია** - ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორი
7. **ბეჟან ბერაია** - ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორი
8. **შორენა საბახტარაშვილი** - ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი
9. **კობა კობახიძე** - ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ დირექტორი

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. გაბუნია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ანგარიშის მოსმენა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

(მომხსენებელი: რ. შულაია- ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი)

2. ანგარიშის მოსმენა „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

(მომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორი)

3. ანგარიშის მოსმენა „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

(მომხსენებელი: ბ. ბერაია - ულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორი)

4. ანგარიშის მოსმენა „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

(მომხსენებელი: კ. კობახიძე - ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ დირექტორი)

5. ანგარიშის მოსმენა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

(მომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსი)

6. ანგარიშის მოსმენა „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

(მომხსენებელი: შ. საბახტარაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ანგარიშის მოსმენა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

(მომხსენებელი: რ. შულაია- ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: რ. შულაია- მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში (ოქმს თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: დ. გაბუნია - მისი თქმით, სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების მიერ 2017 წელს გატარებულ იქნა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მათ შორის, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოხდა ჯგუფების დაკომპლექტება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, თითოეულ სკოლამდელ დაწესებულებაში ცალკე ჩამოყალიბდა „სასკოლო მზაობის ჯგუფი“, სადაც სწავლება მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული „სასკოლო მზაობის საგანმამანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის“ შესაბამისად მომზადებული სახელმძღვანელოებით.

ბავშვების ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის აუცილებელია უსაფრთხო და ჯანსაღი კვება, სკოლამდელი გაერთიანებისა და საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის კოორდინირებული მუშაობის შედეგად, აღსაზრდელებისთვის შემუშავდა სრულიად ახალი კვების რაციონი და მენიუში კვების პროდუქტების სწორი გადანაწილების შედეგად კვების რეგლამენტი განისაზღვრა შემდეგი სახით: 2 ძირითადი კვება საუზმე და სადილი, ასევე დილის და შუა დღის წახემსებები.

ა. ხუნჯუა - მისი თქმით, სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში გასულ წელს ჩატარდა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, მათ შორის, განსაკუთრებით უნდა აღნიშნოს ის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ჩაუტარდა ბაგა-ბაღებისთვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობებს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში.

დ. გაბუნია - მისი თქმით, კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის მიერ არაერთი კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიება განხორციელდა, რომელთა შორის, ზოგიერთი ღონისძიება წარიმართა არაორგანიზებულად, ხოლო ზოგიერთის შესრულების ხარისხი ძალზე დაბალი იყო. გამომსვლელის აზრით, უმჯობესი იქნება თუ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური კოორდინირებულ მუშაობას წარმართავს საკრებულოს

განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიასთან, რათა ერთობლივად მოხდეს სხვადასხვა დაგეგმილი ღონისძიებებისა და განსახორციელებელი პროექტების განხილვა. ურთიერთთანამშრომლობის შედეგად შესაძლებელი იქნება უფრო ხარისხიანი ღონისძიებები შევთავაზოთ საზოგადოებას. გამომსვლელი შემოვიდა წინადადებით, რომ აღნიშნული სამსახურის მუშაობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებას.

კენჭისყრის შედეგები:

არადამაკმაყოფილებელი - 0

დამაკმაყოფილებელი - 8

დადებითი - 0

დაადგინეს: წარმოდგენილი ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

2. ანგარიშის მოსმენა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

(მომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში (ოქმს თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: მ. ლემონჯარია- მისი თქმით, ინფექციური დაავადებების პრევენციის მიზნით 2017 წელს ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ იქნა არა ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ც“ ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში აქტიური ჩართულობა. 2017 წელს ჯანდაცვის ცენტრის მიერ უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა მოსახლეობის გამოკვლევა „ც“ ჰეპატიტზე, რომლის შედეგად გამოვლინდა არა ერთი ინფიცირებული პირი.

კ. ნასარაია - მისი თქმით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის მიერ 2017 წელს ერთიანი სოციალური და ჯანდაცვის

დახმარების მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, გატარებულ იქნა არა ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი ღონისძიება.

დ. გაბუნია - გამომსვლელი შემოვიდა წინადადებით, რომ აღნიშნული სამსახურის მუშაობა შეფასდეს დადებითად.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებას.

კენჭისყრის შედეგები:

არადამაკმაყოფილებელი - 0

დამაკმაყოფილებელი - 8

დადებითი - 0

დაადგინეს: წარმოდგენილი ანგარიში შეფასდეს დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე დ. გაბუნია